



რომის კონსენსუსი 2.0 ნარკოტიკებთან დაკავშირებული ჰუმანური პოლიტიკისათვის

განცხადება
romeconsensus.org

იმის შესენებით, რომ 2005 წელს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი 121 ეროვნული წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების ლიდერები შეთანხმდნენ რომის კონსენსუსზე, ნარკოტიკებთან დაკავშირებული ჰუმანური პოლიტიკისათვის¹, რომელშიც განისაზღვრა ჰუმანური და ეფექტური ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკის პრინციპები, რომლის პრიორიტეტსაც ადამიანი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა წარმოადგენს. რომის კონსენსუსის 2.0 დეკლარაცია პირველ კონსენსუსს ეყრდნობა და აფართოებს მას ახალი ხელმომწერებისათვის მთელი მსოფლიოდან და წარმოადგენს მომდევნო ათწლეულის პოლიტიკისა და საუკეთესო პრაქტიკის მონახაზს.

ვაცნობიერებთ, რომ 1961 წლის „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ ერთიანი კონვენციის“ მიღებიდან² ნარკოტიკების უკანონო მოხმარებამ და დაკავშირებულმა პრობლემებმა იმატა

- დაახლოებით 271 მილიონი ადამიანი ან გლობალური მოსახლეობის 5.5 პროცენტი, რომელთა ასაკიც 15-დან 64 წლამდეა, იყენებს საერთაშორისო შეთანხმებებით აკრძალულ ნარკოტიკებს.
- აღნიშნული პირებიდან, დაახლოებით 35 მილიონი (თითქმის 13 პროცენტი) იტანჯება ეგრეთ წოდებული „ნარკოტიკების გამოყენებით გამოწვეული დარღვევებით“, რაც ზემოქმედებს მათ მენტალურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ეკონომიკურ პროდუქტიულობაზე, ისევე როგორც ოჯახსა და საზოგადოებაზე.
- დაახლოებით 1.4 მილიონი ადამიანი, რომლებიც მოიხმარენ საინექციო ნარკოტიკებს, დაავადებულია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (HIV), ხოლო 5.6 მილიონი დაავადებულია ვირუსული ჰეპატიტით, რაც საფრთხეს უქმნის აღნიშნულ დაავადებებთან საბრძოლველად, გლობალური ჯანდაცვის ღონისძიებების ეფექტურობას.
- ნავარაუდევია, რომ 2017 წელს, ნარკოტიკების გამოყენების შედეგად დაიღუპა დაახლოებით 585,000 ადამიანი, ხოლო გადაჭარბებული დოზის შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი კვლავ მზარდია ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპასა თუ სხვაგან.
- 10 მილიონზე მეტი ადამიანი იმყოფება ციხეში გლობალურად, მათ შორის, 5 ადამიანიდან 1 სასჯელს იხდის ძირითადად ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევების გამო³, ხოლო ციხეში მყოფი ადამიანების დაახლოებით ერთ მესამედს სავარაუდოდ მინიმუმ ერთხელ აქვს გამოყენებული ნარკოტიკები ციხეში ყოფნის განმავლობაში.⁴

¹ <http://villamaraini.it/attivita/red-cross-and-red-crescent-partnership-on-sustance-abuse/>

² <https://wdr.unodc.org/wdr2019/>

³ https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/statistics/crime/ACONF222_4_e_V1500369.pdf

⁴ <https://wdr.unodc.org/wdr2019/>



- აღნიშნულის საპირისპიროდ, დაახლოებით 5.5 მილიარდ ადამიანს (მსოფლიო მოსახლეობის 75 პროცენტს) შეზღუდული წვდომა აქვს ან საერთოდ არ გააჩნია წვდომა ნარკოტიკული ნივთიერებების, მაგალითად, კოდეინის ან მორფინის შემცველ ეფექტურ მედიკამენტებზე, რომლებიც გამოიყენება ტკივილის გასაყურებლად ან სხვა სახის სამედიცინო მკურნალობისთვის.⁵

ვალარებთ, რომ ქვეშარიტად ეფექტიანი ჯანმრთელობაზე დაფუძნებული ნარკოტიკების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრევენციის სათანადო დებულებას, ზიანის შემცირების პრაქტიკულ ღონისძიებებს და ხელმისაწვდომ სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურებებს. პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს აღნიშნული მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმები, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულების სისხლის სამართლებრივი დევნის ან დასჯის ალტერნატივების ჩათვლით. ამავდროულად, ჯანმრთელობაზე დაფუძნებული მიდგომა აგრეთვე მოიცავს ტკივილის გაყურებისა და სხვა დანიშნულების მქონე აუცილებელ მედიკამენტებზე წვდომის უზრუნველყოფას.

ვალარებთ, რომ მთელი რიგი მტკიცებულებების, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პრაქტიკის გამოყენების სახელმძღვანელო მითითებებისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიუხედავად, ზემოთ მითითებული მომსახურებების გლობალური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად არასაკმარისია არსებულ საჭიროებებთან მიმართებაში, ხოლო მრავალი სტრატეგიისა და პროგრამის განხორციელება ხდება არათანმიმდევრულად ან მტკიცებულების სანინააღმდეგოდ. ჩვენ ვიცით რისი გაკეთება შეიძლება ნარკოტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, თუმცა, ადგილი აქვს პოლიტიკური ნების, დაფინანსებისა და შესაძლებლობის კრიზისს.

მივსალმებით იმას, რომ 2018 წელს, პირველად ისტორიაში, გაერთიანებული ერების ოცდათერთმეტივე სააგენტო შეთანხმდა „ეფექტური უწყებათაშორისი თანამშრომლობის მეშვეობით, ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერ საერთო პოზიციაზე“, რაც გულისხმობდა პოლიტიკისა და პროგრამების გადახედვას, დასჯისა და დევნის გამორიცხვას და ეფექტური ჯანდაცვისა და სოციალური მხარდაჭერის მიწოდებას.⁶

იმის შესხენებით, რომ ნარკოტიკების კონტროლის სამივე შეთანხმების პრეამბულაში გამოთქმულია შემოთავაზება „კაცობრიობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებით“ და გაეროს გენერალური ასამბლეის მეცამეტე სპეციალური სესიის (UNGASS 2016) შედეგად მიღებული დოკუმენტი მთავრობებს მოუწოდებს, ცალკეული ადამიანები, ოჯახები, თემები და საზოგადოება მოათავსონ ნარკოტიკებთან დაკავშირებული მათი პოლიტიკის ცენტრში და განხორციელონ მთელი რიგი ღონისძიებები, საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სოციალური შედეგების გასაუმჯობესებლად.⁷

⁵http://www.incb.org/documents/Publications/AnnualReports/AR2015/English/Supplement-AR15_availability_English.pdf

⁶ <https://www.unsystem.org/CEBPublicFiles/CEB-2018-2-SoD.pdf>

⁷ <https://www.unodc.org/documents/postungass2016/outcome/V1603301-E.pdf>



მივესალმებით მდგრადი განვითარებისა და მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგს, როგორც გლობალური მშვიდობისა და კეთილდღეობის მონახაზს, 8 და ვაღიარებთ, რომ ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ჰუმანური და ეფექტური ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავების ვალდებულების ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული გლობალური მიზნების მიღწევას და რომელიც თავისუფალი იდეოლოგიის, ძალის, სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციისაგან.

ვამტკიცებთ, რომ აუცილებელია ნარკოტიკების მოხმარებელ ადამიანებს მოვეპყროთ თანაგრძნობითა და მხარდაჭერით და როგორც დაფასებულ და პატივცემულ მოქალაქეებს. ამას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი ჰუმანური და ეფექტური პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისი მოსახლეობების ჩართვით, იმ ადამიანების ჩათვლით, რომლებიც იყენებენ (ან იყენებდნენ) ნარკოტიკებს და ასევე ადამიანის იმონოდეფიციტის ვირუსით და ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების ჩათვლით, უმჯობესდება პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესი.

წინამდებარე 2.0 რომის კონსენსუსის მეშვეობით, ჩვენ, ქვემოთ ხელმოწერები, მოვუწოდებთ ეროვნულ მთავრობებს და საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებს შემდეგისაკენ:

მათი საზოგადოებების ფარგლებში, ნარკოტიკების მოხმარებაზე რეაგირების ფარგლებში:

- გაითვალისწინონ, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სტრატეგიების უმთავრეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს კაცობრიობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მაქსიმალურად გაუმჯობესება.
- კერძოდ, ნარკოტიკებთან დაკავშირებული ჩარჩო პოლიტიკის მიზნები ორიენტირებული უნდა იყოს ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, უსაფრთხოების გაზრდაზე, განვითარების მიღწევასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე.
- აღმოფხვრან ყველა ის სამართლებრივი და სოციალური ბარიერები, რომლებიც აფერხებს პრევენციასა და ნარკოტიკების მოხმარებელი ადამიანების წვდომას მენტალური ჯანმრთელობის მომსახურებებზე.
- აღმოფხვრან ყველა სამართლებრივი, მარეგულირებელი, პოლიტიკური და სოციალური ბარიერები, რომლებიც აფერხებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ტკივილის გაყუჩებისა და სხვა სამედიცინო დანიშნულების მქონე აუცილებელ კონტროლირებად მედიკამენტებზე წვდომას.
- მიიღონ ის გარემოება, რომ დაუშვებელია მოქალაქეების სტიგმატიზება, მარგინალიზება ან დასჯა მხოლოდ კონტროლირებადი ნარკოტიკული საშუალებების ფლობის ან მოხმარების გამო და მიიღონ ის გარემოებაც, რომ ნარკოტიკების ყველა მოხმარებელს არ ესაჭიროება ჩარევა ან მკურნალობა.
- დანერგონ ყოვლისმომცველი მექანიზმები იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში, უმნიშვნელო, არაძალადობრივი ნარკოტიკებთან დაკავშირებული დარღვევებისათვის დაკავებული ადამიანები გადამისამართდნენ პრევენციისა და მენტალური ჯანმრთელობის სათანადო მომსახურებებზე.
- უზრუნველყონ ნარკოტიკების მოხმარების თვისებებისა და რისკების შესახებ, ამომწურავი, მტკიცებულებაზე დაფუძნებული და ფაქტებით გამყარებული



ინფორმაციის მინოდება ახალგაზრდა და რისკის ქვეშ მდგარი ადამიანებისათვის, ყოველგვარი იდეოლოგიისა და ყალბი ინფორმაციის გარეშე.

- უზრუნველყონ, რომ ნარკოტიკების მოხმარებაზე რეაგირების ეროვნული პოლიტიკა არ არღვევდეს ადამიანის უფლებებს, ჯანმრთელობის უფლების, ნამების ან დამამცირებელი მოპყრობის დაუშვებლობის, სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და ბავშვთა უფლებების ჩათვლით.
- მეტი ინვესტიციები განახორციელონ ეფექტური პრევენციის, ზიანის შემცირების, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურებების მიმართულებით, აგრეთვე, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებელი პირების დეკრიმინალიზაციის და უკეთესი სოციალური, ეკონომიკური და ფისკალური შედეგების მიღწევის კუთხით.

დახმარების მაძიებელი ადამიანების მოთხოვნაზე რეაგირების ფარგლებში:

- აღიარონ, რომ აღნიშნულ პირებს ანუხებთ ემოციური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, თუმცა, აგრეთვე გააჩნიათ ხსენებული პრობლემების დაძლევისა და დადებითი საზოგადოებრივი და სოციალური წვლილის განხორციელების პოტენციალი.
- უზრუნველყონ ყოვლისმომცველი, მტკიცებულებაზე დაფუძნებული მენტალური ჯანმრთელობისა და ზიანის შემცირების მომსახურებების მინოდება, რომლებიც მიმართული იქნება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებლების ჯანმრთელობის დაცვისაკენ.
- ხელი შეუწყონ გამოჯანმრთელებასა და რეაბილიტაციას, საჭიროების შემთხვევაში, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებლებისათვის, საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესების მოტივაციისა და ძალის მიცემისა და მათი სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფად პრაქტიკული დახმარების მეშვეობით.
- უზრუნველყონ, რომ პოლიციის ძალებმა და პროკურატურის ორგანოებმა განახორციელონ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებლების „გადამისამართების“ პროგრამები სადამსჯელო დაწესებულებებიდან, პრევენციისა და ჯანდაცვის მომსახურებებზე.
- უზრუნველყონ, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ხელმისაწვდომი იყოს პრევენციის, ზიანის შემცირების, მკურნალობის, რეაბილიტაციის, ზრუნვის, ზრუნვის შემდგომი მომსახურების, სოციალური და მენტალური ჯანმრთელობის მომსახურებების სულ მცირე ექვივალენტური ხარისხი და დაფარვა, დახურულ პირობებში.

საერთაშორისო საზოგადოებამ მრავალი ვალდებულება აიღო და მრავალი დეკლარაცია მიიღო იმის თაობაზე, თუ როგორ მოახდენს რეაგირებას ნარკოტიკებზე, თუმცა, კვლავ არ არსებობს მტკიცე და ანგარიშგებადი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა მათ განხორციელებას. პროფესიულ ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და დაზარალებულ საზოგადოებებს ცენტრალური როლი აკისრიათ ნარკოტიკებზე რეაგირების პროცესში. წარმატების მიღწევა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ადვოკატირებას განვახორციელებთ ყველა დონეზე, ნარკოტიკებთან დაკავშირებული უფრო ჰუმანური და ეფექტური პოლიტიკის დანერგვის მიზნით, მეტი ჩართულობის უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.



ერთად მუშაობის მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია შევამციროთ ნარკოტიკებთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებული მდგომარეობით გამოწვეული თავიდან არიდებადი ჯანმრთელობისა და სოციალური ზიანი. ჩვენ, ჩვენ მთავრობებსა და ჩვენს მოკავშირეებს, უკვე გაგვაჩნია ის მექანიზმები, სახელმძღვანელო მითითებები და მტკიცებულებები, რომლებიც აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად გვესაჭიროება. ეს მოიცავს მათ შორის, გაერთიანებული ერების სისტემის ნორმატიულ ბაზას⁸, პრევენციის შესახებ⁹, მკურნალობის შესახებ¹⁰, ზიანის შემცირების შესახებ¹¹, დოზის გადაჭარბების მართვის შესახებ¹², თავისუფლების აღკვეთის ზომის ჩანაცვლების შესახებ,¹³ ადამიანის უფლებების შესახებ,¹⁴ და მედიკამენტებზე წვდომის უზრუნველყოფის შესახებ.¹⁵

ეს შეიძლება ის ათწლეული იყოს, როდესაც ჩვენ ერთობლივად აღვუდგებით წინ ამ გამოწვევას.

თუ ეთანხმებით წინამდებარე დეკლარაციას, ხელის მოწერა შეგიძლიათ შემდეგ პლატფორმაზე:
romeconsensus.org

⁸ <https://www.unodc.org/unodc/en/prevention/prevention-standards.html>

⁹ <https://www.unodc.org/unodc/en/drug-prevention-and-treatment/publications.html>

¹⁰ <https://www.who.int/hiv/pub/guidelines/keypopulations/en/>

¹¹ https://www.who.int/substance_abuse/publications/management_opioid_overdose/en/

¹²

https://www.unodc.org/documents/UNODC_WHO_Alternatives_to_Conviction_or_Punishment_2018.pdf

¹³

<https://www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/hiv-aids/international-guidelines-on-human-rights-and-drug-policy.html>

¹⁴ https://www.who.int/medicines/publications/essentialmeds_committeereports/en/

¹⁵ https://www.who.int/medicines/publications/essentialmeds_committeereports/en/